

**შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი –
ფოპნეტი**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული და ამ
თარიღით დამთავრებული წლისათვის და მასზე გაცემული
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	18
4. საინვესტიციო ქონება.....	18
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	18
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	19
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	19
8. ნასესხები საშუალებები	19
9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19
10. შემოსავალი რეალიზაციიდან	20
11. გაყიდვების თვითღირებულება	20
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
13. ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	20
14. სხვა მოგება (ნეტო).....	20
15. ფინანსური ინსტრუმენტები.....	20
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	22
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	22
მმართველობითი ანგარიში.....	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოკუსის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ფოკუსის”-ს (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.16.1. შენიშვნაზე - საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს, რომ:

„კომპანიის, მომავალი, შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ მოცემულ ფაქტორზე:

კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. კომპანია და ეს დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებია, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდებობის მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. ამ სესხების ფრაგლებში დაკავშირებული კომპანიის ვალდებულების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	2,838	4,690	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	2,838	4,690	3,804

კომპანია არ მოელის, ამ თავდებობის ფრაგლებში, მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასაღებებს, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ

პირობის გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. “

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად (მათ შორის პირობითი მოსაზრების საფუძველის, მოთხოვნა დამფუძნებლის წინაშე პარაგრაფში ასახული საკითხების გავლენა), მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 2.2 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ციფრების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2024 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 23-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 23-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 30 სექტემბერი, თბილისი, საქართველო

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 30 სექტემბერი, თბილისი, საქართველო



შპს“ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი”
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 ჩასწორებული	31.12.2021 ჩასწორებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	4,538	4,879	5,342
საინვესტიციო ქონება	4	29	29	29
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,567	4,908	5,371
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	123	132	4,816
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	3,573	9,810	10,146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	920	862	1,050
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,616	10,804	16,012
სულ აქტივები		9,183	15,712	21,383
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		5,868	5,231	3,821
სულ საკუთარი კაპიტალი		5,870	5,233	3,823
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	1,263	8,034	8,418
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,263	8,034	8,418
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი დივიდენდები		806	1,820	7,722
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	8	293	188	287
საგადასახადო დავასთან დაკავშირებული ანარიცხები		116	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		88	97	181
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	747	340	952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,050	2,445	9,142
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,183	15,712	21,383

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს“ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი”
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის ჩასწორებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	6,386	5,792
გაყიდვების თვითღირებულება	11	(4,401)	(3,938)
საერთო მოგება		1,985	1,854
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,381)	(934)
ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	13	(510)	292
სხვა მოგება (ნეტო)	14	543	1,400
მიმდინარე წლის მოგება (სრული შემოსავალი)		637	2,612

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6,324	6,099
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,222)	(4,763)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	1,102	1,336
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწვდენა	(99)	(9)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	2	3
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(97)	(6)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(957)	(1,498)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(957)	(1,498)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	48	(168)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	862	1,050
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	10	(20)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	920	862

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს ჩასწორებული	2	3,821	3,823
2022 წლის სრული შემოსავალი	-	2,612	2,612
დივიდენდის განაწილება	-	(1,202)	(1,202)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს ჩასწორებული	2	5,231	5,233
2023 წლის სრული შემოსავალი	-	637	637
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	5,868	5,870

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ზნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 ჩასწორებული	31.12.2021 ჩასწორებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	4,538	4,879	5,342
საინვესტიციო ქონება	4	29	29	29
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,567	4,908	5,371
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	123	132	4,816
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	3,573	9,810	10,146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	920	862	1,050
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,616	10,804	16,012
სულ აქტივები		9,183	15,712	21,383
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		5,868	5,231	3,821
სულ საკუთარი კაპიტალი		5,870	5,233	3,823
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	1,263	8,034	8,418
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,263	8,034	8,418
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი დივიდენდები		806	1,820	7,722
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	8	293	188	287
საგადასახადო დავასთან დაკავშირებული ანარიცხები		116	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		88	97	181
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	747	340	952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,050	2,445	9,142
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,183	15,712	21,383

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის ჩასწორებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	6,386	5,792
გაყიდვების თვითღირებულება	11	(4,401)	(3,938)
საერთო მოგება		1,985	1,854
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,381)	(934)
ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	13	(510)	292
სხვა მოგება (ნეტო)	14	543	1,400
მიმდინარე წლის მოგება (სრული შემოსავალი)		637	2,612

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6,324	6,099
მოწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,222)	(4,763)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	1,102	1,336
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწესება	(99)	(9)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	2	3
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(97)	(6)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(957)	(1,498)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(957)	(1,498)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	48	(168)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	862	1,050
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	10	(20)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	920	862

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს ჩასწორებული	2	3,821	3,823
2022 წლის სრული შემოსავალი	-	2,612	2,612
დივიდენდის განაწილება	-	(1,202)	(1,202)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს ჩასწორებული	2	5,231	5,233
2023 წლის სრული შემოსავალი	-	637	637
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	5,868	5,870

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტი“ დაფუძნდა 1996 წლის 05 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892330, მარეგისტრირებული ორგანო არის ვაკის რაიონის სასამართლო, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42.

1997 – 1999 წლებში კომპანიამ განახორციელა ორი ფართომასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო პროექტი: პირველი, „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და მეორე, „საქართველო – რუსეთის“ წყალქვეშა ოპტიკურ – ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა შავ ზღვაში, რომელიც, სოჭის გავლით, აკავშირებს სისტემას „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“ ნოვოროსისკის მსხვილ სატელეკომუნიკაციო კვანძთან.

კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული თანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით. კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ-ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისათვის კომპანიის დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალის მფლობელები არიან:

	წილი 31.12.2023-სთვის	წილი 31.12.2022-სთვის	წილი 31.12.2021-სთვის
შპს სისტემ ნეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423)	50%	50%	50%
ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616); წილის მმართველი ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	22.3%	22.3%	22.3%
ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232)	3%	3%	3%
ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622)	14.3%	14.3%	14.3%
კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792)	5%	5%	5%
ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643)	3.4%	3.4%	3.4%
ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190)	1.4%	1.4%	1.4%
ვახტანგ ამაშუკელი (პ/ნ 01012008906)	0.6%	0.6%	0.6%

კომპანიის მაკონტროლებელი პირები არიან: ილია ინჯია, ფრიდონ ინჯია, ხათუნა ინჯია, ლალი რუხაია და ნაირა კვესელავა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2022 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. კომპანიის ფულადი ნაკადები ანგარიშგებას ცვლილება არ შეხება. ჩასწორების დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2021 ჩასწორებული	შეცდომის გასწორება	31.12.2021 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (იხილეთ შენიშვნა 1)	5,342	906	6,248
საინვესტიციო ქონება	29	-	29
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,371	906	6,277
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4,816	-	4,816
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10,146	-	10,146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,050	-	1,050
სულ მოკლევადიანი აქტივები	16,012	-	16,012
სულ აქტივები	21,383	906	22,289
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2	-	2
გაუნაწილებელი მოგება (იხილეთ შენიშვნა 1)	3,821	(906)	4,727
სულ საკუთარი კაპიტალი	3,823	(906)	4,729
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8,418	-	8,418
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8,418	-	8,418
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	7,722	-	7,722
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	287	-	287
საგადასახადო ვალდებულებები	181	-	181
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	952	-	952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	9,142	-	9,142
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	21,383	(906)	22,289

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2022 ჩასწორებული	შეცდომის გასწორება	31.12.2022 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (იხილეთ შენიშვნა 1)	4,879	915	5,794
საინვესტიციო ქონება	29	-	29
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,908	915	5,823
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	132	-	132
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9,810	-	9,810
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	862	-	862
სულ მოკლევადიანი აქტივები	10,804	-	10,804
სულ აქტივები	15,712	915	16,627
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2	-	2
გაუნაწილებელი მოგება (იხილეთ შენიშვნა 1)	5,231	(915)	6,146
სულ საკუთარი კაპიტალი	5,233	(915)	6,148
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8,034	-	8,034
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8,034	-	8,034
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	1,820	-	1,820
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	188	-	188
საგადასახადო ვალდებულებები	97	-	97
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	340	-	340
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,445	-	2,445
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	15,712	(915)	16,627

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის ჩასწორებული	შეცდომის გასწორება	31.12.2022 დასრულებული წლისათვის ჩასწორებამდე
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,792	-	5,792
გაყიდვების თვითღირებულება (იხილეთ შენიშვნა 2)	(3,938)	9	(3,929)
საერთო მოგება	1,854	9	1,863
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (იხილეთ შენიშვნა 3)	(934)	-	(934)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	292	-	292
სხვა (მოგება)/ზარალი	1,400	-	1,400
მიმდინარე წლის მოგება	2,612	9	2,621

შენიშვნა 1 - კომპანიამ შეცვალა ცალკეულ ძირითად საშუალებებზე სიცოცხლის ხანგრძლივობის წლები და გადაიანგარიშა ძირითადი საშუალებების ცვეთა.

2.3 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე და ფასდათმობის გათვალისწინებით.

2.4 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ("ქართული ლარი").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.7020

2.5 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

გარდა ოპტიკური მაგისტრალის ჯგუფისა, ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ოპტიკური მაგისტრალის ჯგუფში გაერთიანებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ბალანსის მეთოდით. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
ოპტიკური მაგისტრალები	34 და 10
მანქანა-დანადგარები	5 და 13
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

2.6 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას,

ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირების დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.10 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.11 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.12 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.13 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანუღირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას

ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

2.16.1. საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიის, მომავალი, შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ მოცემულ ფაქტორზე:

კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. კომპანია და ეს დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებია, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდებობის მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. ამ სესხების ფრაგლებში დაკავშირებული კომპანიის ვალდებულების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	2,838	4,690	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	2,838	4,690	3,804

კომპანია არ მოელის ამ თავდებობის ფრაგლებში, მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასაღებას, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ პირობის გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“

2.16.2. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

2.16.3. საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 6).

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობა	ოპტიკური მაგისტრალ ები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალებე ბი	სულ
ისტორიული ღირებულება						
31.12.2021	148	30,436	430	87	629	31,730
შეძენა	-	-	4	4	-	8
ჩამოწერა	-	-	-	-	(10)	(10)
31.12.2022	148	30,436	434	91	619	31,728
შეძენა	-	-	2	2	95	99
ჩამოწერა	-	(23)	-	(1)	(10)	(34)
31.12.2023	148	30,413	436	92	704	31,793
ცვეთა						
31.12.2021						
ჩასწორებული	(125)	(25,224)	(357)	(86)	(596)	(26,388)
პერიოდის ცვეთა	(4)	(432)	(18)	-	(17)	(471)
ჩამოწერილი	-	-	-	-	10	10
აქტივების ცვეთა						
31.12.2022						
ჩასწორებული	(129)	(25,656)	(375)	(86)	(603)	(26,849)
პერიოდის ცვეთა	(4)	(387)	(19)	(1)	(23)	(434)
ჩამოწერილი	-	18	-	-	10	28
აქტივების ცვეთა						
31.12.2023	(133)	(26,025)	(394)	(87)	(616)	(27,255)
31.12.2021						
ჩასწორებული	23	5,212	73	1	33	5,342
31.12.2022						
ჩასწორებული	19	4,780	59	5	16	4,879
31.12.2023	15	4,388	42	5	88	4,538

4. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო საინვესტიციო ქონება წარდგენილია ისტორიული ღირებულებით და წარმოადგენს მიწას 29.
 სავარაუდო საბაზრო ფასის ზღვარი მერყეობს 60-80 ათას ლარამდე.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
გასაყიდად გამზადებული მიწის ნაკვეთი	-	-	4,670
ოპტიკური კაბელი	107	122	129
საწვავი	11	2	14
ოპტიკური კაბელის ქურო	3	8	3
სხვა მარაგი	2	-	-
სულ მარაგები	123	132	4,816

გასაყიდად გამზადებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კომპანიის საწესდებო კაპიტალის წილის 50 პროცენტის მფლობელი კომპანიისგან შპს „სისტემ ნეტისაგან“ შემდგომი გადაყიდვის მიზნით შესყიდულ აქტივს - მიწას. აღნიშნული მიწა გასხვისებულია 2022 წელს.

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან	4,894	11,619	13,390
საექვო ვალების რეზერვი	(1,367)	(1,861)	(3,295)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	29	32	11
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	23	27	58
საექვო ვალების რეზერვი (ავანსები)	(6)	(7)	(18)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,573	9,810	10,146

<i>საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:</i>	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	1,861	3,295
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	(494)	(1,434)
31 დეკემბრის მიხედვით	1,367	1,861

საექვო ვალების რეზერვი (ავანსები) მოძრაობა:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	7	18
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	(1)	(11)
31 დეკემბრის მიხედვით	6	7

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	102	106	155
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	818	756	895
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	920	862	1,050

8. ნასესხები საშუალებები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	1,263	8,034	8,418
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	293	188	287
სულ ნასესხები საშუალებები	1,556	8,222	8,705

სესხი ნომინირებულია დოლარში.

ზემოთ მოცემული სესხის ხელშეკრულება დადებულია 2001 წლის 9 თებერვალს. სასესხო ხელშეკრულების მიზანია ფოთი-ნოვოროსისკის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობის ფინანსირება. გამსესხებელი, სესხის დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს მაგისტრალის შემოსავლების მართვას: ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავლის წილიდან, რომელიც ეკუთვნის კომპანიას. გამსესხებელი იტოვებს მიმდინარე პერიოდის სასესხო ვალდებულებისთვის შესასრულებელ თანხას, ხოლო დარჩენილ ნაწილს ურიცხავს კომპანიას. გადაუხდელი პროცენტის თანხა ყოველი წლის ბოლოს კაპიტალიზირდება სესხის ძირითად თანხაში. სესხის პროცენტი განისაზღვრება ყოველწლიური სესხის ძირითად თანხის 10.8 პროცენტით.

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	599	266	853
გადასახდელი ხელფასები	122	70	76
მიღებული ავანსები	26	4	23
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	747	340	952

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
ინტერნეტით მომსახურება	3,244	2,766
სატრანზიტო მომსახურება	2,648	2,566
მაგისტრალური არხით მომსახურება (Trunk)	47	54
სხვადასხვა არასაკომუნიკაციო მომსახურებები	80	87
სხვა საბითუმო საკომუნიკაციო მომსახურება	367	319
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,386	5,792

11. გაყიდვების თვითღირებულება

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
ინტერნეტის ხარჯები	2,032	1,700
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	904	825
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	434	471
რემონტის ხარჯები სადგურებზე	288	148
იჯარის დანახარჯები	258	258
საწვავის ხარჯი	150	185
კაბელის გატარების მომსახურება	115	115
ტექნიკური მომსახურება	85	94
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების	46	41
საფასურის ხარჯები		
მანქანის ხარჯები	29	39
კომუნალური ხარჯები	35	36
სამივლინებო ხარჯები	18	15
სხვა ხარჯები	7	11
სულ გაყიდვების თვითღირებულება	4,401	3,938

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი	865	574
იჯარის ხარჯები	223	241
საგადასახადო ხარჯები	194	17
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	24	38
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	75	64
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,381	934

13. ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
საპროცენტო ხარჯი	669	816
მოგება საკურსო სხვაობიდან (ნეტო)	(159)	(1,108)
სულ ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	510	(292)

14. სხვა მოგება (ნეტო)

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
საექვო ვალების რეზერვის შემცირებით მიღებული მოგება	495	1,445
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები (ნეტო)	48	(45)
სულ სხვა მოგება (ნეტო)	543	1,400

15. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
--	------------	------------	------------

შპს“ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი”
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	920	862	1,050
სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან (ნეტო)	3,527	9,758	10,095
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	4,447	10,620	11,145
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,556	8,222	8,705
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	599	266	853
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	2,155	8,488	9,558

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დამფუძნებლები	საბოლოო მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	2,061	28	2,390
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	(1,415)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	96	-	3
მიღებული სესხი	-	-	1,556
გადასახდელი დივიდენდები	616	190	-
შესყიდვები	332	1	183
რეალიზაცია	3,257	-	605
საპროცენტო ხარჯი	-	-	97
განაწილებული დივიდენდები	315	699	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	83	410	43
მოკლევადიანი სარგებელი – გადასახდელი ხელფასები	3	45	3

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დამფუძნებლები	საბოლოო მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	8,484	17	2,917
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	(1,846)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	96	-	3
გადასახდელი დივიდენდები	931	889	-

შესყიდვები

შპს“ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი”
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რეალიზაცია	351	-	30
განაწილებული დივიდენდები	2,779	-	435
	3,068	3,434	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	62	152	37

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დამფუძნებლები	საბოლოო მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	9,608	-	3,535
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	(3,277)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	704	2	100
გადასახდელი დივიდენდები	3,720	4,002	-

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

17.1 სამართლებრივი პროცედურები. კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია და მომავალშიც შესაძლოა აღიძრას ცალკული სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევა კომპანიას ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

17.2 საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა განსხვავებულ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა კომპანიას დამატებით დაერიცხოს გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ გარდა აღიარებული ანარიცხისა, კომპანიას არ მიაღწევა მნიშვნელოვანი ზარალი ამ პროცესებიდან გამომდინარე.

17.3 დაკავშირებულ პირების სესხების ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. კომპანია და ეს დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებია, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდებობის მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. ამ სესხების ფარგლებში დაკავშირებული კომპანიის ვალდებულების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	2,838	4,690	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	2,838	4,690	3,804

კომპანია არ მოელის ამ თავდებობის ფარგლებში, მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასაღებას, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსური ანგარიშგებაში.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2024 წელს ფინანსურ ანგარიშგების დამტკიცებამდე:

- საგადასახადო დავის ფარგლებში რომელზედაც აღიარებულია ანარაცხი კომპანიის მთელ ქონებას დაედო საგადასახადო გირავნობა/იპოტეკა;
- გაცემულია დივიდენდი 176 ათასი ლარი;
- აღებულია ადელი საბანკო სესხი 1,500 ათასი ლარის ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი"
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი“-ს

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამუშენებლები

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონეტი“ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 1996 წლის 5 დეკემბერს, ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს #5/4-1029; 05/12/1996 გადაწყვეტილებით.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორები არიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები:

- ვახტანგ ამაშუკელი 0.6%,
- კოტე სამუშია 5%,
- ავთანდილ იაშვილი 14.3%,
- ფრიდონ ინჯია 22.3% **წილის მმართველი:** ლალი რუხაია, 01007002598
- ილია ინჯია 3%,
- ლილი სუხიტაშვილი 3.4%,
- ნაირა კვესელავა 1.4% ,
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 50%.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონეტი“-ს საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონეტი“-ს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, პოლიტოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც საიდ.კოდი 204892330.

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

საქართველოს და კავკასიის რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კომპანია „ფოტონეტი“ ოპერირებს 1996 წლიდან. 1997 – 1999 წლებში კომპანიამ განახორციელა ორი ფართომასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო პროექტი: პირველი, „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და მეორე, „საქართველო – რუსეთის“ წყალქვეშა ოპტიკურ – ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა შავ ზღვაში, რომელიც, სოჭის გავლით, აკავშირებს სისტემას

„საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“ ნოვოროსისკის მსხვილ სატელეკომუნიკაციო კვანძთან.

კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული თანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით. კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ-ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან. კომპანიის ქსელში შესაძლებელია 2მბიტ/წმ-დან დაწყებული ნებისმიერი სიჩქარის და ნებისმიერი ტიპის სიგნალის გადაცემა. კომპანია ახორციელებს ქსელის სადღეღამისო მომსახურებას მაქსიმალური საიმედოობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

ასევე, კომპანია წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მონაცემთა გადაცემის (ინტერნეტის) საბითუმო ოპერატორს. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში რამდენიმე მსხვილი კომპანიის გაერთიანებამ წარმოშვა ოლიგოპოლიის ჩამოყალიბების რისკები, შპს „ფოტონეტს“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ 2019 წლის 28 მაისს გამოქვეყნებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებათა მიხედვით უჭირავს ბაზრის 10% წილი.

წყარო : <https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2019--19-9-285.page>

კომპანიას გააჩნია ტექნიკური სადგურები საქართველოს ოპტიკური მაგისტრალის გასწვრივ, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს, შენობები რომლებშიც განთავსებულია სადგურები ძირითადად წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას (ბოლნისი, დმანისი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია).

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონეტი“-ს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი მომსახურება;
- კომპანიის მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- კომპანიის სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- კომპანიის პარტნიორების ინტერესების დაცვა.

3. ფინანსური რისკები

რისკი ახლავს ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას. აქტიური კონკურენციის, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი სტიქიების, ომების, არამდგრადი პოლიტიკური თუ სხვა სიტუაციების გამო კომპანია ყოველთვის სწევს რისკს.

საბაზრო რისკი ერთერთი ყველაზე თვალშისაცემი ფინანსური რისკია. საბაზრო რისკი არის ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე. საბაზრო რისკის ძირითადი წყაროებია რეცესიები, საპროცენტო განაკვეთის რყევები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიები და ტერაქტები. საბაზრო რისკი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ერთდროულად მოქმედებს მთელ ბაზარზე. ამიტომ, ძნელია დაიცვა ბაზრის რისკი. გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებები, საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი რყევები, გეოპოლიტიკური მოვლენები ან რეცესიები ეს ყველაფერი სიტუაციაა, რომელიც იწვევს ბაზრის რისკს.

გარკვეული რისკების, ერთი შეხედვით, კლების პარალელურად, ახალი რისკები ჯერ კიდევ ჩნდება. ცვლილებები პოლიტიკურ, საქმიან და ეკონომიკურ სფეროში ახალი რისკების გაჩენას იწვევს, ამიტომ სატელეკომუნიკაციო სფერო უნდა ადაპტირდეს სწრაფად ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან და ტექნოლოგიური ინოვაციების ასევე გაზრდილ ტემპებთან მიმართებაში. სატელეკომუნიკაციო სფეროს დამახასიათებელი რისკების მართვის მიზნით, საჭიროა საკუთარი ფასეულობების განახლების და გაფართოების გზების ძიება.

სფეროს დამახასიათებელი რისკები დაკავშირებულია ციფრულ ტრანსფორმაციასთან, მარეგულირებელ ვალდებულებასთან, კიბერომების ზრდასთან, მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვალებადობასთან, ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რომელიც მიმდინარე პერიოდშიც აქტუალურია. 2023 წელს დაფიქსირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, რომელიც ტელეკომუნიკაციების და კავშირგაბმულობის სფეროსთვის და მათ შორის შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპნეტისთვის რელევანტურია შემდეგია:

1. ტექნოლოგიური განვითარების, ახალი პროდუქტების განვითარების რისკი
2. არაპროგნოზირებადი ინფლაცია
3. სავალუტო რისკი
4. ლიკვიდობის რისკი

ტექნოლოგიური განვითარების, ახალი პროდუქტების განვითარების რისკი

ისეთ სფერო როგორცაა კომუნიკაციები პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიებთან და დგას მუდმივი გამოწვევის წინაშე ვინაიდან და რადგანაც ტექნოლოგიები უწყვეტ რეჟიმში ვითარდება და ტექნოლოგიების განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი პროდუქტის ჩანაცვლება ან არასაჭიროობა, აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მუდმივი განვითარების ტემპი, ინვესტირება ტექნოლოგიურ სიახლეებში და გამოწვევის შესაძლებლობად ქცევა.

არაპროგნოზირებადი ინფლაცია

ბოლო დროს, საქართველოში, ინფლაცია სრულად არაპროგნოზირებად ეკონომიკურ მარკერად იქცა. 2022 წელი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი იყო. პანდემიური კრიზისი უპრეცედენტო მასშტაბის ომმა და ეკონომიკურმა შოკმა შეცვალა. ომის პერიოდში, განსაკუთრებით გაზაფხულის თვიდან რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან საქართველოსკენ მიგრაციული ტალღა დაიძრა, გაიზარდა ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ლარის კურსი გამყარდა, თუმცა პარალელურად ეროვნულმა ბანკმა

რეფინანსირების განაკვეთი 11%-მდე გაზარდა, ხოლო ინფლაცია ორნიშნა ციფრით განისაზღვრა. 2023 წელს ჯერ კიდევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება რუსეთ-უკრაინის ომიდან მომდინარე რისკები, რაც როგორც გლობალურად, ასევე სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, მაკროეკონომიკურ მოწყვლადობას იწვევს. კერძოდ, ომის შედეგად გაუარესებული ინფლაციური გარემო ფინანსური პირობების გამკაცრებასა და ეკონომიკური ზრდის შენელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, არასტაბილურმა გეოპოლიტიკურმა გარემომ ქვეყანაში, შესაძლოა, უარყოფითად

იმოქმედოს რეგიონში ინვესტორთა განწყობაზე, რაც შესაძლოა გახდეს ქვეყნიდან კაპიტალის გადინების მიზეზი, აღნიშნული რისკის მატერიალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ინფლაციაზე, ასევე ადგილობრივი ვალუტა გაუფასურების წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. აღნიშნული გამოიწვევს პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდას, რაც იწვევს კომპანიებში დასაქმებულების ანაზღაურების შესაბამისად დაბალანსების საჭიროებას, რაც ასევე იწვევს ხარჯების ზრდას, რომელსაც კომპანიები დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით დააბალანსებენ.

სავალუტო რისკი

კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ძირითადი მასალების და მომსახურებების შესყიდვა ხდება უცხოური კომპანიებისგან. ასევე, კომუნიკაციების სფეროს განვითარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აპარატურის, მოწყობილობების და პროგრამების შექმნა და წარმოება დამოკიდებულია იმპორტულ კომპანიებზე. შესაბამისად უცხოური ვალუტის მაღალი ამპლიტუდით ცვლილება ეროვნულთან მიმართებაში, ზრდის პროდუქციის ღირებულებას. ძირითადი უცხოური ვალუტა, რომელთან მიმართებაშიც ხდება კომპანიისთვის საჭირო ხარჯების განხორციელება წარმოადგენს, ევროს და ა.შ.შ დოლარს.

თუ დავაკვირდებით ამ ვალუტის კურსის ცვლის სტატისტიკას, აღნიშნული სავალუტო რისკი გარდაუვალია.

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

1 ევრო = 3.4991 (01.01.2022)	1 აშშ დოლარი = 3.0892 (01.01.2022)
1 ევრო = 2.8844 (31.12.2022)	1 აშშ დოლარი = 2.7020 (31.12.2022)
1 ევრო = 2.9753 (31.12.2023)	1 აშშ დოლარი = 2.6894 (31.12.2023)

სავალუტო რისკებისგან დაზღვევა:

– ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების, რომელიც დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, გალარება;

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის კომპანიის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად და სამართავად კომპანია წლის დასაწყისში ადგენს წლის განმავლობაში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიშს, რომლის ფაქტიური მონიტორინგი ხდება ყოველკვირეულად, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოქმნილი პრობლემები გადაიჭრას მანამ, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიან კომპანიას.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გადაწყვეტს ბიზნეს ოპერაციების, მომსახურების პორტფელისა და პროდუქტის მუშაობის გაფართოებას, საჭირო გახდება ფულადი სახსრების მობილიზება, რასაც კომპანია გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სესხით მოაგვარებს.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტენტი“-მა მიიღო შემდეგი ზომები:

- სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტენტი“-ს შეინარჩუნოს არსებული ფინანსური მდგომარეობა და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

კომპანიის მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, სახედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას.

კომპანიის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- კომპანიის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ქსელის დაზიანებების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;

კომპანია ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, დაზიანებების შემცირება, ქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება.

4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა აქციების შეძენა.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

6. კომპანიის თანამშრომლები

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში კომპანიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

შპს „ფოტონიკის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენლების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;

კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს გენერალურ და აღმასრულებელ დირექტორს, ასევე დირექტორებს ფინანსური, ტექნიკური, საოპერაციო, სამშენებლო და კომერციული მიმართულებით. კომპანიაში დასაქმებულია 102 თანამშრომელი. მათ შორის ქალების რაოდენობა შეადგენს 20 თანამშრომელს. მამაკაცების რაოდენობის სიჭარბე აიხსნება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მაღალია ქალების რაოდენობა მენეჯერულ პოზიციებზე.

შპს „ფოტონიკის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია კომპანიის მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე კომპანიისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად.

7. გარემოზე ზეგავლენა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „ფოტონიკი“ არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მიზეზით, 2023 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერი.

ზნ ილია ინჯია, დირექტორი

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერი.

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

